*დამტკიცებულია რექტორის № 58 ბრძანებით (02.03.2014),*
*რედაქტირებულია რექტორის №85 ბრძანებით (14.08.2015)*
*რედაქტირებულია აკადემიური საბჭოს №1 დადგენილებით (28.10.2016 )*
*რედაქტირებულია აკადემიური საბჭოს №2 დადგენილებით (13.02.2020)*

# აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი

მუხლი 1.

წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს "ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი" სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) დატვირთვის ზღვრულ ოდენობას და საათობრივი დატვირთვის განაწილების წესს.

მუხლი 2.

1. აკადემიური პერსონალის შემადგენლობას განეკუთვნება პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი.
2. პროფესორები მონაწილეობენ ან/და წარმართავენ სასწავლო და სამეცნიერო კვლევით პროცესს.
3. უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შერჩევა მიმდინარეობს „აკადემიური პერსონალის არჩევის წესის" შესაბამისად.
4. აკადემიური პერსონალის საშტატო დატვირთვა შეიძლება იყოს სრული ან არასრული (0.25; 0,50; 0,75).
5. სასწავლო პროცესის შეუფერხებლად და სრულყოფილად წარმართვისათვის უნივერსიტეტი პროფესიული ნიშნით არჩევს და დებს შრომით ხელშეკრულებას მოწვეულ პერსონალთან საათობრივი ანაზღაურების წესით „მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების წესის" შესაბამისად, სადაც შესრულებული ერთი საათის ანაზღაურების სახელფასო ტარიფი განისაზღვრება რექტორის ბრძანებით, (შესრულებული საათების რაოდენობა აისახება ანაზღაურების დამადასტურებელ განაცხადში, დანართი 1), ან უნივერსიტეტი დებს შრომით ხელშეკრულებას მოწვეულ პერსონალთან, სრულ ან ნაწილობრივ შტატზე (0,75; 0,5; 0,25), შესრულებული საათების რაოდენობისაგან დამოუკიდებლად.

მუხლი 3.

1. სააუდიტორო მეცადინეობების ხანგრძლივობა სასწავლო წლის განმავლობაში შეადგენს 33 (პირველი სემესტრი -17, მეორე სემესტრი 16 კვირა) კვირას.
2. უნივერსიტეტში სალექციო, პრაქტიკული, სემინარული (რომელიც მოიცავს სწავლებას სიმულაციურ გარემოში ან/ და სწავლებას კლინიკურ გარემოში), ლაბორატორიული სამუშაოს და კლინიკური პრაქტიკის (როტაციები კლინიკურ ბაზებზე) ერთი მეცადინეობის ხანგრძლივობა განისაზღვრება 40 წუთით, მეცადინეობებს შორის შუალედი 10 წუთია.
2. კლინიკური პრაქტიკის დროს ჯგუფში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება 4-5 სტუდენტით, ან 5-7 სტუდენტით (კლინიკასთან შეთანხმების

თანახმად), პრობლემაზე დაფუძნებული და კლინიკურ ქეისზე დაფუძნებული მეცადინეობისას 7-10 სტუდენტი. ლაბორატორიული მეცადინეობისას - 12-15, სემინარისას - 30, ხოლო ლექციისას 70-100 სტუდენტით.

3. მეორე მუხლის გამონაკლისი დასაშვებია მხოლოდ რექტორის ბრძანებით, თუ სტუდენტთა რაოდენობიდან გამომდინარე შეუძლებელია შესაბამისი ჯგუფების შექმნა.

მუხლი 4.

1. აკადემიური პერსონალის საშტატო აკადემიური დატვირთვა მოიცავს საუდიტორიო (საკონტაქტო) და არასაუდიტორიო საათებს.
2. აკადემიური პერსონალის საუდიტორიო დატვირთვა ერთ განაკვეთზე სასწავლო წლის განმავლობაში შეადგენს:
   - **პროფესორისათვის** არანაკლებ 200 საათისა (საშუალოდ 7 საათი კვირაში);
   - **ასოცირებული პროფესორისათვის** არანაკლებ 240 საათისა (საშუალოდ 8 საათი კვირაში);
   - **ასისტენტ პროფესორისათვის** არანაკლებ 290 საათისა (საშუალოდ 10 საათი კვირაში);
   - **ასისტენტისთვის არანაკლებ** 400 საათისა (საშუალოდ 13 საათი კვირაში).
3. საუდიტორიო (საკონტაქტო) საათებს მოიცავს:

   ა) სალექციო, ლაბორატორიული, პრაქტიკული, სემინარი (სწავლება სიმულაციურ და კლინიკურ გარემოში) და კლინიკურ ბაზებზე ჩატარებული კლინიკური პრაქტიკა;

   ბ) კონსულტაციაციები: მინიმუმ 1 სთ კვირაში საჭიროებისამებრ, ან შუალედური და დასკვნითი გამოცდების წინ, ან შემდეგ (მინიმუმ თითო საათი თითოეულზე);

   გ) შუალედური, დასკვნითი და გადაბარების გამოცდების მასალების (ტესტების, ბილეთის საკითხები, ქეისების და სხვა.) მომზადება და რეგულარული განახლება (ერთ სასწავლო კურსზე 5 სთ) ;

   დ) საგამოცდო ნაშრომების შემოწმება-შეფასება (5 წერით ნაშრომზე 1 სთ);

   ე) ჯგუფის ტუტორობა, რაც მოცავს სტუდენტის პორტფოლიოს კლინიკური ნაწილის მართვა ან მენტორობა, რაც მოიცავს სტუდენტის პორტფოლიოს აკადემიური და ადმინისტრაციული ნაწილის მართვა (ერთ ჯგუფზე 25 სთ);
4. აკადემიური პერსონალის არასაუდიტორიო (არასაკონტაქტო) დატვირთვა ერთ განაკვეთზე სასწავლო წლის განმავლობაში შეადგენს:

- **პროფესორისათვის** არანაკლებ 200 საათისა, კერძოდ:

  ა) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა - 100 სთ;

  ბ) პროგრამული მოდულის ხელმძღვანელობა - 20 სთ;

  გ) ერთი სტატიის გამოქვეყნება საერთაშორისო ციტირების ან რეცენზირებადი ინდექსის მქონე ჟურნალში - 50 სთ;

  დ) კვლევით-საგრანტო პროექტის ხელმძღვანელობა - 100 სთ;

  ე) მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციაში (სასტენდო ან საჯარო მოხსენება, ან კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრობა), ტრენინგში (საგანმანათლებლო ან პროფესიული) - 20 სთ;

  ვ) სტუდენტის სამეცნიერო-კვლევითი, საკონფერენციო თემის ხელმძღვანელობა - 10 სთ;

  ზ) სახელმძღვანელოს ან სალექციო კურსის შექმნა - 100 სთ;

  თ) საჯარო ლექცია (ან სხვა საუნივერსიტეტო აქტივობა) - 10 სთ;

ი) სხვადასხვა კომისიების მუშაობაში მონაწილეობის მიღება (ერთი სრული დღე 5 სთ);

კ) ადმინისტრაციული პოზიციის შეთავსება -50 სთ.

- **ასოცირებული პროფესორისათვის** არანაკლებ 150 საათისა, კერძოდ

ა) პროგრამის განახლებაში ჩართულობა - 20 სთ;

ბ) ერთი სტატიის გამოქვეყნება საერთაშორისო ციტირების ან რეცენზირებადი ინდექსის მქონე ჟურნალში - 50 სთ;

გ) კვლევით-საგრანტო პროექტის ხელმძღვანელობა - 100 სთ;

დ)კვლევით-საგრანტო პროექტში ჩართულობა - 40 სთ;

ე)მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციაში, (სასტენდო ან საჯარო მოხსენება, ან კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრობა), ტრენინგში (საგანმანათლებლო ან პროფესიული) - 20 სთ;

ვ) სტუდენტის სამეცნიერო-კვლევითი, საკონფერენციო თემის ხელმძღვანელობა - 5 სთ;

ზ) სახელმძღვანელოს ან სალექციო კურსის შექმნა ბაუ-ს სახელით - 100 სთ;

თ) საჯარო ლექცია (ან სხვა საუნივერსიტეტო აქტივობა) - 10 სთ;

ი) სხვადასხვა კომისიების მუშაობაში მონაწილეობის მიღება (ერთი სრული დღე 5 სთ);

კ)გამოცდების მიმდინარეობაში ჩართულობა (ან სხვა საუნივერსიტეტო აქტივობა) - 10 სთ.

ლ) ადმინისტრაციული პოზიციის შეთავსება -50 სთ.

- **ასისტენტ პროფესორისათვის** არანაკლებ 100 საათისა, კერძოდ:

ა) გამოცდების მზადებაში ჩართულობა -10 სთ;

ბ)ერთი სტატიის გამოქვეყნება რეფერირებად ჟურნალში - 30 სთ;

გ)კვლევით-საგრანტო პროექტში ჩართულობა - 40 სთ;

დ)მონაწილეობა კონფერენციაში (სასტენდო მოხსენება, ან კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრობა), ტრენინგში (საგანმანათლებლო ან პროფესიული) - 20 სთ;

ე)სხვა საუნივერსიტეტო აქტივობებში ჩართულობა -10 სთ.

ვ) ადმინისტრაციული პოზიციის შეთავსება -50 სთ.

- **ასისტენტისთვის** არანაკლებ 50 საათისა, კერძოდ:

ა) გამოცდების მზადებაში და მიმდინარეობაში ჩართულობა - 10 სთ;

ბ)ერთი სტატიის გამოქვეყნება რეფერირებად ჟურნალში - 30 სთ;

გ)კვლევით-საგრანტო პროექტში ჩართულობა
(ეთვლება დამხმარე პერსონალად ჩართულობაც კი) - 30 სთ;

დ)მონაწილეობა კონფერენციაში (სასტენდო მოხსენება, ან კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრობა), ტრენინგში (საგანმანათლებლო ან პროფესიული) - 20 სთ;

ე) სხვა საუნივერსიტეტო აქტივობებში ჩართულობა -10 სთ.

ვ) ადმინისტრაციული პოზიციის შეთავსება -50 სთ.

4. საშტატო ერთეულით განსაზღვრული დატვირთვის გარდა, იმ შემთხვევაში თუ აკადემიური პერსონალის მოწვევა აუცილებელი ხდება დამატებით საათებზე, აკადემიური პერსონალის დამატებითი სააუდიტორიო დატვირთვის ზღვრული ოდენობა (საათობრივი ანაზღაურების წესით) განისაზღვროს შტატის საათების ნახევრით.

5. თუ აკადემიურ პერსონალს ამავდროულად უნივერსიტეტში უჭირავს სრული შტატის ადმინისტარციული თანამდებობა, მაშინ მისი აკადემიური დატვირთვა ნახევრდება, ან პირიქით.
6. სრულ შტატზე მყოფი აკადემიური პირის (აკადემიური თანამდებობის მიუხედავად) უნივერსიტეტში მუშაობის საათები განსაზღვრულია დღეში მინიმუმ 3 საათით.

6. აკადემიური და მოწვეული პერსონალის სააუდიტორიო და არასააუდიტორიო დატვირთვა აისახება შესაბამის დატვირთვის ბლანკებში (დანართი 2, დანართი 3, დანართი 4);

მუხლი 5.

1. აკადემიურ პერსონალს დატვირთვით განსაზღვრული საუდიტორიო საათების გაცდენის და მათი არ აღდგენის შემთხვევაში, გაცდენილი საათების ანაზღაურება დაექვითებათ პროპორციულად ანაზღაურებიდან.
2. წინასწარ შეთანხმების საფუძველზე, დატვირთვით განსაზღვული გაცდენილი საათები ექვემდებარება აღდგენას ფაკულტეტის მიერ დადგენილ ვადებში.
3. მოწვეულ პერსონალს შეუსრულებელი საათები არ აუნაზღაურდება.
4. თუ სასწავლო წლის განმავლობაში აკადემიური პირი შეასრულებს წინასწარ დაუგეგმავ, მაგრამ საგანმანათლებლო პროცესით განსაზღვრულ სამუშაოს, როგორებიცაა, FX-კატეგორიით შეფასებული სტუდენტების დამატებითი გამოცდის ჩატარება, გამოცდების ჩატარება მობილობის წესით ჩასარიცხი სტუდენტების კრედიტების აღიარებისათვის, მაგისტრატურის მისაღები გამოცდების კომისიის წევრობა და ა.შ, ჩაეთვლებათ არასააუდიტორიო დატვირთვის საათებში.

მუხლი 6.

1. კონტროლი წესის შესრულებაზე დაევალოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს და ფაკულტეტს;
2. წესი ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

დანართი 1

შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი
BAU International University, Batumi
ანაზღაურების დამადასტურებელი განაცხადი
Payment Confirmation Request

ბაუ–ბათუმის რექტორის 201____წლის ____________________ № ________________ ბრძანებისა In According to the BAU Batumi Rector's Order
და შრომითი ხელშეკრულებით (№ ________________, თარიღი ______________________)
and Labour Agreement dated
მოწვეულმა პედაგოგმა/აკად.პერსონალმა სამედიცინო ფაკულტეტზე მთლიანად საათობრივი დატვირთვის ფარგლებში ჩაატარა:
the invited teacher/academic personnel completed the teaching hours on the Faculty of "Medicine"
____________ წლის (Year)__________________ თვეში (month) :

| № | თვე, რიცხვი Date | საგანმანათლებლო პროგრამა Education Program | სასწავლო კურსის დასახელება Title of Learning Course | საკონტაქტო საათები Contact Hours |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | საათების ჯამი: Total Hours: | |

გთხოვთ დაგვიდასტუროთ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება.
Please confirm the financial compensation for completed teaching hours.
მოწვეული პედაგოგი/ პროფესორი/ ასოც.პროფესორი/ასისტ.პროფესორი
The invited teacher/professor/Assoc.Professor/Assist.Professor
„ვეთანხმები"
"Agreed"
ფაკულტეტის დეკანი
Dean of Faculty

| საათების ჯამი: Total hours: | ერთი საათის ტარიფი one hour cost | ხელზე გასაცემი ფულადი თანხა Salary (Netto) (GEL) | შენიშვნა Notes |
|---|---|---|---|
| | | | |

საფინანსო–ეკონომიკური და მატერიალური რესურსების სამსახურის უფროსი
Head of Financial, Economical and Material Resources Service

ადმინისტრაციის უფროსი
Head of Administration

«__________» ______________________________ 201

დანართი 2

# შპს "ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი"

დატვირთვა ---------- სასწავლო წელი

| | |
|---|---|
| ფაკულტეტი: | მედიცინა |
| პროგრამა: | მედიცინა |
| დეპარტამენტი: | საბაზისო მედიცინა/ კლინიკური მედიცინა |
| დისციპლინა: | |
| პედაგოგის სახელი, გვარი: | |
| სამეცნიერო (აკად.) ხარისხი: | |
| *სტატუსი* | |

| # /# | სასწავლო კურსის | | სემესტრი | სტუდ. რაოდენ.ობა | სტუდენტთა რაოდენობა ჯგუფში | | დატვირთვა (საათი) | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | სულ საათების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | საშემოდგომო სემესტრი | | | | | | | | სულ | საგაზაფხულო სემესტრი | | | | | | | | სულ | წლიური დატვირთვა | | | | | | | | | | |
| | | | | | | | ლექცია | | ჯგუფში მუშაობა | | ლაბორ. | | კლინიკური პრაქტიკა | კონსულტაცია | | ლექცია | | ჯგუფში მუშაობა | | ლაბორ. | | კლინიკური პრაქტიკა | კონსულტაცია | | სააუდიტ. | | | შუალედ.გამოცდა | | დასკვნითი გამოცდა | | კლინიკური პრაქტიკა | კონსულტაცია | კურატორობა | |
| | კოდი | დასახელება | | | ლექციაზე | ჯ/მ, ლაბ. | კვირით | სულ | კვირით | სულ | კვირით | სულ | | | | კვირით | სულ | კვირით | სულ | კვირით | სულ | | | | ლექცია | ჯგუფში მუშაობა | ლაბორ. | კონსულტაცია | გამოცდა | კონსულტაცია | გამოცდა | | | | |
| 1 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 0 |
| 2 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 0 |
| 3 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 0 |
| 4 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 0 |
| 5 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 0 |
| 6 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 0 |
| 7 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 0 |
| 8 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 0 |
| 9 | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 0 |
| სულ: | | | | | | | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |

*დეპარტამენტის ხელმძღვანელი:*

*ფაკულტეტის დეკანი:*

*პედაგოგი:*

დანართი 3

**შპს „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი**

**BAU International University, Batumi**

**არასააუდიტორიო დატვირთვის შესრულების ფორმა**

**Noncontact Loading Confirmation Form**

ბაუ–ბათუმის რექტორის 20 ------ წლის -------- № --- ბრძანებითა
In According to the BAU Batumi Rector's Order

და შრომითი ხელშეკრულებით (№ -----, თარიღი ---------- წ.)
and Labour Agreement dated

აკად.პერსონალმა (პროფესორი/ასოცირებული პროფესორი/ასისტენტ პროფესორი/ასისტენტი) მედიცინის ფაკულტეტზე არასააუდიტორიო დატვირთვის ფარგლებში -------------- აკადემიური წლის შემოდგომის/გაზაფხულის სემესტრში შეასრულა:

academic personnel (professor/associate professor/assistant professor/assistant) have fulfiled the noncontact hours on the Faculty of "Medicine" at fall/spring semester of ---------- academic year:

| № | აკადემიური წელი, სემესტრი Ac. Year, semester | აკადემიური თანამდებობა Academic Position | შესასრულებელი სამუშაოს დასახელება Title of work to be fulfilled | შესასრულებელი სთ Hs of work to be fulfilled | შესრულებული სთ Hs of fulfilled work | დადასტურება Confirmation |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2018-2019, შემოდგომის სემესტრი | პროფესორი Professor | საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელობა | 100 | | |
| | | | პროგრამული მიმართულების ხელმძღვანელობა | 20 | | |
| | | | ერთი სტატიის გამოქვეყნება საერთაშორისო ციტირების ან რეცენზირებადი ინდექსის მქონე ჟურნალში | 50 | | |
| | | | კვლევით-საგრანტო პროექტის ხელმძღვანელობა | 100 | | |
| | | | მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციაში (სასტენდო ან საჯარო მოხსენება, ან კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრობა | 20 | | |
| | | | სტუდენტის სამეცნიერო-კვლევითი, საკონფერენციო თემის ხელმძღვანელობა | 10 | | |
| | | | სახელმძღვანელოს ან სალექციო კურსის შექმნა | 100 | | |
| | | | საჯარო ლექცია (ან სხვა საუნივერსიტეტო აქტივობა) | 10 | | |
| | | | სხვადასხვა კომისიების მუშაობაში მონაწილეობის მიღება (ერთი სრული დღე) | 5 | | |
| | | | ადმინისტრაციული პოზიციის შეთავსება | 50 | | |
| სულ შესასრულებელი მინიმუმი | | | | **200** | 0 | |
| 2 | 2018-2019 | ასოცირებული პროფესორი Associate Professor | პროგრამის განახლებაში ჩართულობა | 20 | | |
| | | | ერთი სტატიის გამოქვეყნება საერთაშორისო ციტირების ან რეცენზირებადი ინდექსის მქონე ჟურნალში | 50 | | |
| | | | კვლევით-საგრანტო პროექტის ხელმძღვანელობა | 100 | | |
| | | | კვლევით-საგრანტო პროექტში ჩართულობა | 40 | | |
| | | | მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციაში (სასტენდო ან საჯარო მოხსენება, ან კონფერენციის სამეცნიერო კომიტეტის წევრობა) | 20 | | |
| | | | სტუდენტის სამეცნიერო-კვლევითი, საკონფერენციო თემის ხელმძღვანელობა | 5 | | |
| | | | სახელმძღვანელოს ან სალექციო კურსის შექმნა ბაუ-ს სახელით | 100 | | |
| | | | საჯარო ლექცია (ან სხვა საუნივერსიტეტო აქტივობა) | 10 | | |
| | | | სხვადასხვა კომისიების მუშაობაში მონაწილეობის მიღება (ერთი სრული დღე) | 5 | | |
| | | | გამოცდების მიმდინარეობაში ჩართულობა (ან სხვა საუნივერსიტეტო აქტივობა) | 10 | | |
| | | | ადმინისტრაციული პოზიციის შეთავსება | 50 | | |
| სულ შესასრულებელი მინიმუმი | | | | **150** | 0 | |
| 3 | 2018-2019 | ასისტენტ პროფესორი Assistant Professor | გამოცდების მზადებაში ჩართულობა | 10 | | |
| | | | ერთი სტატიის გამოქვეყნება რეფერირებად ჟურნალში | 30 | | |
| | | | კვლევით-საგრანტო პროექტში ჩართულობა | 40 | | |
| | | | მონაწილეობა კონფერენციაში (სასტენდო მოხსენება, ან კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრობა) | 20 | | |
| | | | სხვა საუნივერსიტეტო აქტივობებში ჩართულობა | 10 | | |
| | | | ადმინისტრაციული პოზიციის შეთავსება | 50 | | |
| სულ შესასრულებელი მინიმუმი | | | | **100** | 0 | |
| 4 | 2018-2019 | ასისტენტი Assistant | გამოცდების მზადებაში და მიმდინარეობაში ჩართულობა | 10 | | |
| | | | ერთი სტატიის გამოქვეყნება რეფერირებად ჟურნალში | 30 | | |
| | | | კვლევით-საგრანტო პროექტში ჩართულობა (ეთვლება დამხმარე პერსონალად ჩართულობაც კი) | 30 | | |
| | | | მონაწილეობა კონფერენციაში (სასტენდო მოხსენება, ან კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრობა) | 20 | | |
| | | | სხვა საუნივერსიტეტო აქტივობებში ჩართულობა | 10 | | |
| | | | ადმინისტრაციული პოზიციის შეთავსება | 50 | | |
| სულ შესასრულებელი მინიმუმი | | | | **50** | 0 | |

პროფესორი/ ასოც.პროფესორი/ასისტ.პროფესორი

Professor/Assoc.Professor/Assist.Professor/Asisstant

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

The Head of Faculty Council

დანართი 4

# სააუდიტორიო და არასააუდიტორიო დატვირთვის და სახელფასო ტარიფის ცხრილი აკადემიური პოზიციებისა და საშტატო დატვირთვის მიხედვით

| აკადემიური თანამდებობა Academic Position | სააუდიტორიო დატვირთვა Contact Work Loading | არასააუდიტორიო დატვირთვა Noncontact Work Loading | კოეფიციენტი Coefficient | ხელფასი Salary | ხელზე გასაცემი ფულადი თანხა Salary -20% | 20% | არასააუდიტორიო შესასრულებელი საათები კვირაში Noncontact hs/week |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| Professor | 200 | 200 | 1.00 | | | | 15 |
| | 150 | 150 | 0.75 | | | | 11 |
| | 100 | 100 | 0.50 | | | | 7 |
| | 50 | 50 | 0.25 | | | | 4 |
| Associate Professor | 240 | 150 | 1.00 | | | | 15 |
| | 180 | 112.5 | 0.75 | | | | 11 |
| | 120 | 75 | 0.50 | | | | 7 |
| | 60 | 37.5 | 0.25 | | | | 4 |
| Assistant Professor | 290 | 100 | 1.00 | | | | 15 |
| | 217.5 | 75 | 0.75 | | | | 11 |
| | 145 | 50 | 0.50 | | | | 7 |
| | 72.5 | 25 | 0.25 | | | | 4 |
| Assistant | 400 | 50 | 1.00 | | | | 15 |
| | 300 | 37.5 | 0.75 | | | | 11 |
| | 200 | 25 | 0.50 | | | | 7 |
| | 100 | 12.5 | 0.25 | | | | 4 |